ხუთშაბათი 1919 წ. მაისის 29 № 109
ყოველდღიური გაზეთი

ხუთშაბათი 1919 წ. მაისის 29 № 109
ფ ა ს ი 2 მან.

# საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 120 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 40 მანეთი. ცალკე № 2 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე—1 მ. 50 კ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. საშულოვიარო განცხადება თითოჯერ 50 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 5 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½, საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დილის წარმოდგენა

## სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა

ხუთშაბათს, 29 მაისს, 1919 წ. **პ. ფოცხვერაშვილის** მეთაურობით და მონაწ. გაიმართება პირველად თბილისში სრულიად საქართველოს დამკვრელ მომღერალთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური

**დამფუძნებელი ყრილობა-კონცერტი** რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ხუთას ქალ-ვაჟთაგან შემდგარი ხორო, სამას კაცისაგან ხმა შეწყობილი მესაყვირეთა ორკესტრი, გურული დამკვრელ-მთმღერალ-მოცეკვავეთა გუნდი, სახელმწიფო თეატრის ახალი საოპერო ხორო, სახელმწიფო თეატრის არტისტები ვ. სარაჯიშვილი, ა. ინაშვილი, კომპოზ. ჩერეპნინი, გარტმანი, არაყიშვილი, ფალიაშვილი და სხ.

გურიიდგან მოწვეული გუნდი შეასრულებს სხვათა შორის პირველად თბილისში ნადურს, ელესას, ხელხვავს, ხასანბეგურს, საეკლესიო საგალობებს და სხვას. დასასრულ გაიმართება ძველი ქართული ფერხული და საომარ-საზეიმო ცეკვა **ხორუმი**

კონცერტის გახსნაში მონაწილეობას მიიღებს ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა, დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის წარმომადგენელნი, ხოროს დამაარსებელნი და სხვანი.

**დასაწყისი დილის 12 საათზე. — ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.** (2 2399—2)

## ყურადღება!..

ყურადღება!.. ყურადღება!..

მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი და კახური ღვინო ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით" ხელმისაწვდენ ფასებში) მისამართი: ვაგზლის ქ. 6. ტელეფ. 1—97.

(25—86—2)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები სიმონ და ალექსანდრე რძალი კლავდია დიმიტრის ასული დები მარიამი და სალომე. სიძეები გაბრიელ გვერწითელი შვილებით და პლატონ საყვარელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფას უდროოდ ტრაგიკულად გარდაცვალებას

### ივანე ნოშრევანის ძის ალავიძის

დაკრძალვა მოხდება პარასკევს მაისის 30 ს. სოფელ საზანოში (შორაპნის მაზრა).

(1—2402—1)

დედა ნინო ილიას ასული და მამა თედო იოსების ძე ბაქრაძენი შვილებით და სიძით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ დღეს ხუთშაბათს 29 მაისს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ მათი ქალის

### ეკატერინე (კატუშა) თედოს ასული ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, ივერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე; პანაშვიდი—11 საათზე და 30 წუთ.

(1—2403—1)

გულდათუთქულნი დედა მატატი გიორგის ასული, მამიდა პელაგია პავლეს ასული, ძმები: ლეონტი „გაჩუა" და პავლე მელიტონის ძენი, დები: ელენა, აგრაფენა, ევდუსი და რახილო მელიტონის ასულნი გეწაძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს გარდაცვალებას დაუვიწყარ

### გრიგოლ (გრიშა) მელიტონის ძე გეწაძისას

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 31 მაისს მაცხოვრის ეკლესიაში ზესტაფონში. პანაშვიდები ყოველ დღე.

1 89—1

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნატალია, შვილებით, ვარო მარუსია, ირაკლი შალიკო და რუსუდანი, სიდედრი დარია, ცოლის ძმები, ნიკოლოზი, დათიკო, დიმიტრი და ვანო ცისკარაშვილები, დისწულები: გიორგი და მართა, სიძე ალექსანდრე თათარაშვილი, დისწულის მეუღლე ალექსანდრა დავითაშვილისა, აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ დაუვიწყარის

### დიმიტრი ზაქარიას ძე ჩარკვიანის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს დილის 10 საათ, 31 მაისს წმ. ნინოს ეკლესიაში სასაფლაოზე.

2404 2 1

## ებრაელთა სალოცავის კურთხევა

დაბა საჩხერის ებრაელთა სალოცავის მზრუნველი ე—ი გაბაი ამით აცხადებს რომ მომავალ 2 თიბათვეს დაბა საჩხერეში დანიშნულია ხსენებულ სალოცავის კურთხევა, ამისთვის ვთხოვთ ყველა მოქალაქეთ და რაბინებს დაესწრონ ხსენებულ სალოცავის კურთხევას.

3 2400—1 მზრუნველი კომიტეტი **ხაიმ შათაშვილი**

## მომღერალთა საყურადღებოთ!

ქართ.ს ამუსიკო საზ-ბამ და ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა დაარსა

## კაპელა

ხმის გასინჯვა სწარმოებს ყოველ დღე 12—1 საათამდე. აქვე პირობების ცნობა ეძლევა, ქართ. სამუსიკო სკოლა, სლეპცოვის ქ. № 4.

(3—90—1)

ამიერ-კავკასიის ბანკის აქციონერთა

## ჩვეულებრივი საზოგადო კრება

დანიშნულია კვირას, 1919 წ. 8 ივნისს დილის 10 ს. ბანკის ბინაზე

(თბილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა № 5)

კ რ ე ბ ი ს ს ა გ ა ნ ი:

1. განხილვა და დამტკიცება 1918 წ. ანგარიშისა.
2. 1919 წლის წმინდა მოგების განაწილება.
3. 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
4. განყოფილებათა გახსნა.
5. ძირითადი თანხის გადიდება.
6. ბანკის წესდების § 13-ს დამატება და შეცვლა:
7. არჩევნები გამგეობის წევრისა ნაცვლად დ. ვ. ქუთათელაძისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება.
8. სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

თუ დანიშნულ დღეს საკმაო რიცხვი აქციონერებისა არ გამოცხადდა (§ 66), იმავე ადგილას, კვირას, 22 ივნისს დილის 10 საათზე გაიმართება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება იმის და მიუხედავად, რამდენი აქციონერი დაესწრება მას.

**შენიშვნა.** სახელდებული აქციების პატრონი ხმის უფლება აქვთ საზოგადო კრებაზედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის დავთარში არიან ჩაწერილნი შვიდი დღით საზოგადო კრების დღემდე. უსახელო აქციები იმ შემთხვევაში აძლევენ ხმის უფლებას აქციების პატრონთ, თუ აქციები წარმოდგენილია ბანკის გამგეობაში შვიდი დღით ადრე მაინც საზოგადო კრების დღემდე და უკან აღარ წაუღიათ პატრონებს კრების გათავებამდე. ნამდვილი აქციების მაგიერ შესაძლოა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობანი (ხელწერილნი) იმისა, რომ აქციები მიუღია შესანახად ანუ გირაოდ, როგორც სახელმწიფო, ისე მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით არსებულ საკრედიტო დაწესებულებას. ამ მოწმობებში უნდა იქმნას ნაჩვენები აქციების ნომრები

2 83—2

## ლუდისა და ყინულის ქარხნები

**ნოე სიხარულიძისა.** (ყოფილი ვეტცელის)

რომელიც 5 წელია რაც შეჩერებულნი არიან **კვლავ** დაიწყეს **მოქმედება**

მანქანები სრულიად შეკეთებულნი არიან და ყველა ნაწილები გასიჭული და გასწორებული აქვთ. მუშაობა ქარხნებზე შეუწყვეტლივ (სამ რიგად) სწარმოებს. **ნედლ მასალას ქარხნებს ინგლისელები აწვდიან.**

(2—81—2)

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის გამგეობა

აცხადებს, რომ რადგან 25 მაისს 1919 წ. კავშირის წევრთა საზოგადო კრება არ შესდგა,

## მეორე კრება

**დანიშნულია ამა წლის 1 ივნისს დილის 10 საათზე კავშირის ბინაზე** (ფრეილინის ქ., № 11), რომელიც, თანახმად წესდების მე-18 მუხ. კანონიერად ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

განსახილველი საგნები: 1) ანგარიში საბჭოსი და გამგეობის მოქმედებისა და კავშირის შემოსავალ-გასავლისა.
2) საკითხი შესახებ კავშირის არსებობისა.
3) სარევიზიო კომისიის არჩევა.

3 87—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათს, მაისის 29-ს, დილის 11 საათზე საჩაიე „ძმურ ნუგეშში“ დანიშნულია

## თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების წლიური კრების გაგრძელება

კრების საგანი: არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

1—88—1

# უკანასკნელი ცნობები

მოხალისეებმა პეტროვსკი და დარუბანდი აიღეს. მთიელთა მთავრობამ თავი გაუქმებულად გამოაცხადა. გამოცხადდა მუშათა საერთო მობილიზაცია.

საბჭოთა ჯარმა ალექსანდროვკასთან გრიგორიევის რაზმი გაჰფანტა და თურქესტანში მერვი აიღო.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო აცხადებს, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს მოხსნან ჰუნგრეთის ბლოკადა, როგორც იქ შესდგება მტკიცე მთავრობა.

რანტცაუმ მოითხოვა, რომ შრომის დაცვის და მუშათა უფლების შესახებ დადგენილება თვით მუშათა კონგრესმა უნდა გამოიტანოსო.

იტალია მოითხოვს, რომ მთელი ზარალის ანაზღაურება ავსტრიას დაეკისროს.

# მომდგარი საფრთხე

საქართველოს გარშემო ახალი გარემოება შემოიხაზა საკმაო მსხვილის კონტურით. ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს გარემოება ხორცსაც შეისხამს და სინამდვილის ერთად-ერთ სახედ გადაიქცევა.

მისი დასრულებული განლება და საქართველოს განსაცდელში ჩავარდნა ერთი იქნება. ეს შეიძლება მოხდეს უცბად, ერთბაშად. ხოლო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ აზროვნებას ამ გარემოების ლანდი ჯერ კიდევ არ გადაფენია. საქართველოს პოლიტიკური წრეები ამაზედ ჯერ არც კი დაფიქრებულან. ამიტომაც არც არის ზრუნვა ამ განსაცდელის ასარიდებლათ.

ის რეალური პირობები, რომელთა დამყარებას ლოღიკურადაც და მექანიკურადაც საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა,—თუ ეს დამოუკიდებლობა ოდესმე შესაძლებელი იქნებოდა—დღეს იმდენად შეიცვალა და ისე იცვლება რომ მათ თავისი სინამდვილით დასასრულ საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფა მოაქვთ.

დამარცხების ნიადაგზე რუსეთის სამოქალაქო ომმა და რუსეთის მოპირდაპირე გერმანიის გამარჯვებამ ბუნებრივი და აუცილებელი გახადეს რუსეთის დახეთქა ეროვნული ზღუდეთა გაყოლებაზე, ისე როგორც შემდგომ თვით კონსოლიდაციაც ახალ სახელმწიფოებრივ ფორმაციათა. გამარჯვებულის რეალური, სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესი და რუსეთის ფაქტიური მდგომარეობა ერთმანეთს შეეთანამშრომლეს სხვებისა და კერძოდ საქართველოს დამოუკიდებლობის დამყარებაში. რაც უფრო დიდ ხანს გასტანდა ასეთი ვითარება, მით უფრო მეტი დრო და ხალვა ოობაც მოგვეცემოდა ჩვენი სიმტკიცის ასაგებად.

დღეს ამაზედ იმედის დამყარება და გეგმების შენება არ შეიძლება. გამარჯვება დარჩა ანტანტს. და თუ ანტანტის ყველა წევრი არა, მისი ზოგიერთი წევრი მაინც დიდათ მონდომებულია რუსეთის აღდგენით, რამდენადაც შეიძლება მის პირვანდელ საზღვრებში. ზოგიერთი გამარჯვებულის რეალური ინტერესი მოითხოვს ამას. საზავო კონფერენციის მუშაობამ და ანტანტის პრესის ერთმა ნაწილმა ამაში საბოლოოდ დაგვარწმუნა. მაშასადამე, დღევანდელი მდგომარეობის ზოგიერთი მბრძანებლის შეგნებულად რეალური ინტერესი ეჯახება რუსეთისგან განშორებულ სხვა და სხვა ეროვნულ სახელმწიფოს და მათ შორის ყველაზედ უფრო, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. ანტანტის ერთი ნაწილის ასეთ რეალურ ინტერესს ებრძვის მთელი ანტანტის მორალური ვალდებულება ხალხთა წინაშე, მთელი ანტანტის მიერ წამოყენებული ეროვნებათა განთავისუფლების ლოზუნგი, რომლითაც იგი ასაბუთებდა თავის გამარჯვების კულტურულ შინაარს მთელი კაცობრიობისათვის. და რომლითაც იგი ამართლებდა ომის ბოროტებასაც. ეს ბრძოლა მეტად უსწორო ფალავნებ შორის სწარმოებს: რეალურ ინტერესსა და მორალურ თამასუქ შორის! ამაშია ჩვენი მომავალის ერთი უდიდესი საფრთხე.

რუსეთს რომ დავუბრუნდეთ, აქაც პირობები ჩვენდა საზიანოდ იცვლება.

რუსეთში ეხლა დგას მომენტი ერთ-ერთი მებრძოლის საბოლოო გამარჯვების. სამოქალაქო ომის გაათრებული მასალა დაიწვა. რევოლუციისა დ სოციალურ ტრანსფორმაციის იდეამ, რომელმაც რუსეთი ცაში შეაქანა, დაჰკარგა ბრძანებელის კვერთხი, რადგან თავისი თავი სინამდვილეში ვერ გაამართლა. რევოლუციის ჯადომ თავისი საიდუმლო ვერ შეინახა. ბოლშევიზმი უდღეური იყო, იგი უნდა მომკვდარიყო და კვდება კიდეც ჩვენთვის ჯერ კიდევ ნაადრევათ. ახალ-ახალ ძალას, ახალ-ახალ სასწაულს იგი ვერ გამოაჩენს, მას პოტენცია შემოელია. ბოლშევიზმი თავისი უკანასკნელი ძალით ებრძვის კოლჩაკს, იუდენიჩს, დენიკინს და ანტანტის ჯარებს, ებრძვის და მარცხდება. უფრო დიდის პროპორციით, ვიდრე ბოლშევიკების დამარცხება, სწარმოებს მისი მოპირდაპირეთა კონსოლიდაცია.

ამგვარად, რუსეთში უკანასკნელად და საბოლოოდ ომისა და რევოლუციის ეპოპეას ამთავრებს კოლჩაკ-დენიკინი. ახალი სიურპრიზებისათვის ენერგია აღარ არის

ამაშია ჩვენი მომავალის მეორე და უდიდესი საფრთხე. სოციალურ გარდაქმნის ფანტაზიით გატაცებული ბოლშევიზმის ბატონობას რუსეთში რომ მეტი ხანგრძლივობა დაჰყოლოდა, ან რომ მას ასე მალე არ გამოლეოდა მტრისათვის დასაპირდაპირებელი ბრძოლის ენერგია, საქართველო ეროვნულ-სახელმწიფოებრივად უფრო მოიგებდა, უფრო მტკიცედ გამაგრდებოდა. კოლჩაკ-დენიკინი, რომელთაც გამარჯვება უზურში აქვთ, ფანტაზიის ხალხი არაა. არც საცადი ექსპერიმენტები უყვართ. ვერავითარი იდეა მათ ვერ მოაცდენს, რომ ერთი წუთითაც დაისახონ იმპერიის ტერიტორიულ შემოკრებაში. მათი პირველი იერიშებიც განშორებულ სახელმწიფოთა წინაალმდეგ დაიწყება; საქართველო და კავკასიის სხვა სახელმწიფონი ხომ ყველაზედ შეუღეველი ქვეყნებია მათთვის.

ამგვარად, ცხრაას ჩვიდმეტში რუსეთის საზღვრებში მყოფ ერთა დამოუკიდებლობა წარმოშვეს ერთის მხრით რუსეთის სამოქალაქო ომმა ბოლშევიკების ბატონობის დროშის ქვეშ და რუსეთის მოპირდაპირე გერმანიის გამარჯვებამ და მისმა რეალურმა ინტერესმა, მეორეს მხრით.

ამ ცხრაას ცხრამეტში კი ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას კრიზისში აგდებს ერთის მხრით რუსეთში სამოქალაქო ომის მიწურვა რეაქციის დროშის გამარჯვებით და მეორეს მხრით საბოლოო გამარჯვება ანტანტისა, რომლის ზოგიერთი წევრი დაინტერესებულია რუსეთის რეკონსტრუქციით.

ეს სრულიად ცოცხალი და ხორცშესხმული საფრთხეა... ცხვირის წინ ამართული.

ცხრაას ჩვიდმეტ-თვრამეტში მექანიკურად მივიღეთ უდიდესი ბედნიერება და განძი. არც კი ვიყავით მომზადებული საამისოდ. ეს განძი—უკვდავება დღეს ჩვენს ორგანიზმშია ჩანიღთებული, მასთან გაყრა, მთელი ჩვენი სხეულის, მთლათ ჩვენი სიცოცხლის კატასტროფაა.

მეგნება უნდა ამ საფრთხეს. შეგნება უნდა ამ კატასტროფას მზად ყოფნა და ყოველის მანქანებით მათი აცდენა—აი პრობლემა საამდღეო, საამწუთო, გადაუდებელი. შექმნა ძლიერი დ შემკვრივებული ეროვნული იდეის და ენერგიის—აი მთავრობის მოვალეობა.

იყავით ღარსეულნი და მაღალნი!

# სომხეთი და აზერბაიჯანი

საქართველომ გადიხადა თავისი დამოუკიდებლობის დღესასწაული; ჯერი სომხეთსა და აზერბაიჯანზედ მიდგა.

ისტორიულმა პირობებმა სამივე სახელმწიფოს დღესასწაული ერთმანეთს დაუკავშირეს. საქართველომ პირველმა აიხსნა მონობის ჯაჭვი და, ერთის წლის წინად 26 მაის, ქართველმა ერმა აღადგინა თავისი სახელმწიფოებრივი უფლებები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენა იმავე დროს იყო დაშლა მეორე სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის:

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის.

ხან-მოკლე და უდღეური იყო ეს ორგანიზაცია, რადგან მის არსებაში არ სჩანდა ის ერთიანობა და ინტერესთა შემარიგებელი ძალა, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის სამივე შემადგენელ ნაწილს: საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს, საკუთარი სახელმწიფოებრივი ისტორია ჰქონდათ და ისტორიულათვე თან დაყოლილი ბუნებრივი წადილი დამოუკიდებელ არსებობისათვის.

და თვით ამ რესპუბლიკის დაარსების მოტივიც იყო მხოლოთ დართული თავდაცვა რუსეთში აფორიაქებულ ბოლშევიკებისაგან და პირველივე ხანიდან გამოაშკარავდა, ამ რესპუბლიკის შემადგენელ ნაწილების ინტერესთა სხვა და სხვაობა.

ამიტომ მოხდა, რომ როდესაც ამიერ-კავკასია ოსმალეთთან ომის წინ დადგა, ყოველი ნაწილი შეეცადა საკუთარი ხაზი ეწარმოებია ამ ომში და საკუთარი პოლიტიკით გამოსულიყო საერთო სახელმწიფოებრივი დღიდან.

ნათლად სჩანდა რომ არსებობდენ კერძო ნაწილები, მაგრამ არ იყო საერთო სახელმწიფოებრივი მთლიანობა.

და ეს კერძო ნაწილების მოქმედება ლოღიკურათ უნდა გაღრმავებულიყო.

26 მაისის აქტი იყო სწორეთ ეს ლოღიკური გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან და საქართველო გახდა იმ რგოლათ, რომლის გამოღებამ ჯაჭვიდან გამოიწვია სხვა რგოლების დახსნაც

27 მაისს სომხეთმა და 28-ს აზერბეიჯანმაც გამოაცხადეს თავი დამოუკიდებლათ და ამიერ-კავკასიის ნანგრევებზედ აღმოცენდა სამი სახელმწიფო:

საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა სამივე ერისათვის იყო იძულებითი კავშირი, რომელიც ბორკავდა მათს თავისუფალ ეროვნულ მოქმედებას, რომელიც ფართოთ უნდა გაშლილიყო საკუთარ სახელმწიფოებრივ არსებობაში და ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ერთის წლის თავზე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ სამივე ერმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიანთ და უფლებაც აქვთ საკუთარი მეუფების დაწესებისა, საკუთარ მიწა-წყალზედ.

მაგრამ ეს წელიწადი არ იყო ამ ერთათვის ასპარეზი მარტო საალმშენებლო შემოქმედების გამოფენისა, პირიქით ამისთვის სრულებით არ იყო საშუალებაც და მათი ენერგია უნდა დახარჯულიყო მხოლოთ გარშემორტყმულ მტრებისაგან თავდაცვისათვის.

და თუ შინაურმა, ეროვნულ-აღმშენებლობითმა მუშაობამ მოითხოვა, ამ ერების განცალკევება, საგარეო საფრთხემ და მტრებისაგან თავდაცვამ და სხვა ურყევი იმპერატივი გაერთიანებული მოქმედებისა.

უკანასკნელ დროში ეს საკითხი უფრო გაღრმავდა და მისი აუცილებლობა თანაბრად ნათელი შეიქმნა სამივე სახელმწიფოსათვის. ამიერ-კავკასია გარშემორტყმულია მტრებისაგან და სამივე რესპუბლიკა ერთსა და იმავე საფრთხის წინ სდგას.

თავდაცვისათვისათვის კავშირი დღეს საჭიროა ის, როგორც არასოდეს და მტრის მახვილის ქვეშ დაცემა რომელიმე ამ სახელმწიფოსი, იქნება განადგურება სამივე ერის თავისუფლებისა

ერთმა მეზობელთაგანმა თავისუფალმა მთიულეთმა უკვე მოლუნა მუხლი „მოხალისეთა“ ურდოების წინაშე და უკანასკნელი ცნობებით, მთიელთა მთავრობამ მიატოვა კიდეც ბრძოლის ველი.

დენიკინის მახვილი აზერბეიჯანზედ არის მიმართული.

მტრის ლაშქარი არც საქართველოზედ დააყოვნებს წამოსვლას და სომხეთიც ამავე საფრთხის წინაშე დადგება.

და ამ ერების თავისუფლება, რომელიც ასე ბრწყინვალეთ განათდა ამ ერთი დღის დღესასწაულზედ, მთელი თავისი მჭერმეტყველებით ბრძანებს დღეს ამ რესპუბლიკათა კავშირის სიმტკიცეს

დამოუკიდებლობის დასაცავად.

ლ. ჯაფარიძე.

# პრესსა

გაზეთი „აზერბაიჯანი“ ეხება მოხალისეთა ჯარის მიერ ქალაქ პეტროვსკის აღებას, ჰკიცხავს მთიელთა რესპუბლიკათა მთავრობას თავის მოვალეობის შეუსრულებლობისა და ასპარეზიდან გაცლისათვის და აღნიშნავს რა დენიკინის წინსვლას აზერბაიჯანისაკენ, სწერს:

„ყველასათვის ცნობილია, რომ მოხალისეთა ჯარი ისე როგორც კოლჩაკის ჯარიც ინგლისის სარდლობის მაგიერია და რომ მთელი მათი არსებობა, როგორც მორალური, ისე მატერიული სავსებით ინგლისის ხელშია, ამიტომაც ჩვენ გვეგონა, რომ მოხალისეთა ჯარის ნაბიჯები შეწყობილი იქნებოდა კავკასიაში მყოფ მოკავშირეთა სარდლობის გეგმასთან და როდესაც ადგილობრივმა ინგლისის სარდლობამ მთიელთა რესპუბლიკა დაარწმუნა რომ მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელი იქნებოდა, ჩვენ ეს ვიწამეთ და ვფიქრობდით, რომ ინგლისის სარდლობის განცხადება კანონი იყო მოხალისეთა ჯარისათვის. სამწუხაროდ ეს თურმე ცარიელი სიტყვები ყოფილა და სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. მოხალისეთა ჯარის წინსვლა ჩვენ გვაყენებს აღსრულებულ ფაქტის წინაშე და ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომ არ ასრულებს თავის დაპირებას ინგლისის სარდლობა და ან რატომ არ ღებულობს ზომებს რომ საფრთხე აარიდოს მთიელ ხალხებს“.

ამის შესახებ გაზეთი აღნიშნავს რომ საფრთხე პირდაპირ აზერბეიჯანზეა მომდგარი, რომ აზერბაიჯანის ხალხი და ყველა პოლიტიკური პარტია ერთხმად და ერთსულოვნად დაუხვდება მტერს, რომ დაიცვას აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას. ხედავს რა ერთ-ერთ რესპუბლიკის დამარცხებაში ყველა სხვა რესპუბლიკის დამარცხებასაც ამიერ-კავკასიაში, გაზეთი სწერს:

„ამიერ-კავკასიის ხალხები უნდა მზად იყვეს ბრძოლისთვის და ერთი წუთის დაუკარგავად, თავიანთი ძალები უნდა მოიკრიფონ და დააგროვონ, რომ უხიფათოთ გადაიტანონ თავიანთი ისტორიის კრიტიკული მომენტი ჩვენ გვწამს რომ თავისუფლება და დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ისე ღრმად და მაგრად გაუჯდა ხალხს ძვალ-რბილში, რომ ყოველი თავდასხმა ამ თავისუფლება - დამოუკიდებლობაზე ღირსეულ წინააღმდეგობას მიიღებს“.

ჩვენ პირველი დღიდანვე ვაფრთხილებდით ამ მხრივ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ვურჩევდით ხელი აელოთ ერთმანეთის წახდენაზე და შეერთებული ფრონტი შეექმნათ საერთო მტრის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენში ყველაფერი დაგვიანებით ხდება!

# დამფუძნებელი კრების 13 მაისის სხდომა

ჩვენი ადმინისტრაციის აღვირწახსნილ ბოროტმოქმედების ერთი ეპიზოდი—ოკრიბის ეპიზოდი, დამფუძნებელ კრების განხილვის საგნად გადაიქცა, სოც. რევოლუციონერთა ფრაქციის შეკითხვის გამო. მეტად ამაშფოთებელი სურათი გადაიშალა კრების წინ ჩვენი ადმინისტრაციის ყაჩაღობისა და თვითნებობისა. კამათში მონაწილეობა ყველა ფრაქციებმა მიიღეს ჩვენი ფრაქციის სახელით ჩაეწერა დამფ. კრების წევრი ბ. ი. მაჭავარიანი.

## ი. მაჭავარიანის სიტყვა

(სტენოგრამა). ბატონებო, ოკრიბის დარბევა—რა არის ეს შედარებით საქართველოს დარბევასთან? ის, რაც გადაურჩა საქართველოსაგან რუსეთის მტარვალ მთავრობას და შემდეგ რუსეთის რევოლუციის ქარცეცხლს,—ამ ცოტა რამედნაც, არა რომელიმე პარტიამ, არა რომელიმე მთავრობამ, არამედ ქართველ ერის ძლიერმა შემოქმედებითმა ძალამ შეჰქმნა ეს პატარა, უფლებრივ სახელმწიფოს მსგავსი, დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსი, საიდგანაც დანგრეულ რუსეთის თითქმის ყველა კუთხიდან და ოსმალეთიდან ილტვოდა და ილტვიან მრავალნი გადმოხვეწილნი, რომ მას თავი შეაფარონ და სული მოითქვან. მაგრამ, როდესაც ჩვენს მიწა-წყალზე გამოძღებიან,—ყველაზე არ ვლაპარაკობ, სახეში მყავს დიდი უმრავლესობა მათი, როდესაც თავის გარეცხილ შუბლს განიგრილებენ და სულს მოიბრუნებენ, უმადურის სიბრაზით ეს გადმოხვეწილნი ჩვენვე გვემუქრებიან, ჩვენვე გვებრძვიან... ეხლაც მრავალი მტერი შემოგვესევია. დამშეულ ტურებივით შემოგვცქერიან და მონატრის სულისკვეთებით ელიან ჩვენს არსებობის მოსპობას.

ასეთ პირობებში მყოფს ყოველ შეგნებულ ქართველს მეტად უძნელდება თავისივე მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება. მაგრამ, როდესაც დღიდან-დღე, კვირიდან-კვირამდე, თვიდან-თვემდე შენის თვალით უყურებ, რომ ხელმძღვანელების მეოხებით ჩვენი სამშობლოს თავისუფლება დაავადებულია, როდესაც ხედავ, რომ მთავრობის შეცდომები კი არ აჩერებენ ამ ავადმყოფობის პროცესს, არამედ ართულებენ, აჩქარებენ მას და ქმნიან თითქმის სიკვდილის საშიშროებას,—უნდა ითქვას ის, რაც სათქმელია. დასაფარავი აღარაფერი რჩება. რჩება მხოლოდ ერთი იმედი: შეცდომებათა მხელით, შეცდომათა დროზე შეგნებით ყოველ მძლავრ ადამიანს, ყოველ მძლავრ მთავრობას შეუძლია საქმის კიდევ გამოსწორება და არა სასურველ მოვლენათა თავიდან აცდენა.

შეკითხვამ, ოკრიბის დარბევის შესახებ, ახადა ფარდა და დაგვანახვა მხოლოდ ნაწილი იმ უწესოების მორევისა, რომელშიაც ჩვენი ადმინისტრაცია ესოდენ ხშირად ახრჩობს სახელმწიფოებრივს წესიერებას. ის, რაც მოხდა ოკრიბაში, ხდება თითქმის ყოველდღე, ამა თუ იმ სახით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, დაწყებული ბორჩალოს მაზრიდან შავი ზღვის ნაპირებამდე.

მილიციაში გამეფებული უწესრიგობა, უდიერობა, ცარცვა, ქურდობა, მექრთამეობა, ისეთი აღვირ-ახსნილობა, რომ უბრალო მილიციონერი ბედავს და ჩვენის ნდობით აღჭურვილ მინისტრსაც კი არ ერიდება. განა ეს ყველასათვის ცხადი არ არის, განა ამას მტკიცება უნდა? მერე რად ხდება ეს? იმისთვის, რომ ეროვნულ ღირსების, ეროვნულ თავმოყვარეობის, სამშობლოს სიყვარულის, პატრიოტიზმის კულტს ჩვენში ქურუმნი არ უვარგიან.

მარტო მილიცია არ არის დამნაშავე. დამნაშავეა ყოველი ის სახელმწიფო მანქანის ნაწილი, რომლის მოშლილობა და უვარგისობა ანარეკლად გადადის მილიციაზე. დამნაშავეა ყველა ის, ვინც ხელს უწყობს და ჰქმნის ისეთ ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი ხდება ასეთ უწესოების აღმოცენება. როდესაც მილიციის კადრის შექმნის დროს ხელმძღვანელობენ პარტიულ თვალსაზრისით, როდესაც ამავე მიზნით არსებობს და განაგებს საქმეს პროფესიონალური კავშირი, როდესაც მილიციაში მოსპობილია პრინციპი უმცროს-უფროსობისა, როდესაც ყოველი მილიციონერი დარწმუნებულია, რომ ის პასუხს არ აგებს, ან, ყოველ შემთხვევაში, ძნელად დაისჯება, თუ გაბატონებულ პარტიას თავი შეაფარა,—მაშინ წესიერების დამყარება ყოვლად შეუძლებელი ხდება. არამც თუ სამინისტროების, არამედ ყველა დაწესებულების მოწყობა-მოწესრიგების დროს, განა პარტიული ელემენტი დღემდე გადამწყვეტ როლს არ თამაშობს? განა ტბილისის მილიციის უფროსის შეტაკებამ პროფესიონალურ კავშირთან ცოტა ზიანი მიაყენა, როგორც მილიციას, ისე ქვეყანას? განა პრინციპი უმცროს-უფროსობის დაცული არის მილიციაში? ან იქნებ მითხრან, რომ რომელიმე მილიციონერს ეშინიან პასუხისგებისა. ასეთ სახელმწიფოში, სადაც ძეგვის ხიდის ამფეთქებელიც კი პასუხს არ აგებენ, ძნელად თუ ვისმეს შეეშინდება პასუხისგების მით უმეტეს მილიციას.

გაიხსენეთ სამხედრო მინისტრის მოხსენება, რომელიც მან წარუდგინა ამ ტრიბუნიდან პარლამენტს სომხეთთან ომის დროს. თურმე სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში ომის დაწყებამდე, სანამ მტერი ესოდენ მოულოდნელად და ვერაგულად თავს დაგვესხმებოდა, სომხები ბორჩალოში უკვე აშენებდნენ მთელ საველე ციხე-სიმაგრეებს, აკეთებდნენ თხრილებს, სწვრთნიდნენ ჯარისკაცებს და მოხალისეთა რაზმებს... და ყოველი ეს ხდებოდა ჩვენ ადმინისტრაციის თვალწინ. სად იყო მაშინ ბორჩალოს კომისარი? რას უყურებდა ბორჩალოს მილიცია, ან და თფილისის გუბერნიის კომისარი? თუ ისინიც არხეინად ისხდნენ თავიანთ სავარძლებში და ელოდნენ,—გაზეთის ფურცლები როდის მოგვაწვდიან ცნობებსაო? შესაძლებელია განა უფლებრივ სახელმწიფოში, რომ ასეთი დაუდევრობა მილიციისა, ასეთი ბოროტმოქმედობა კომისარისა სისხლის სამართლის წესით დაუსჯელი დარჩეს? მე კი ჯერ არ მსმენია, რომ რომელიმე კომისარი, ან მილიციონერი ასეთ აღმაშფოთებელ ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში იყოს მიცემული. მოიგონეთ მეორე მაგალითი. დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს, თიანეთის მაზრის კომისარმა სრულიად უკანონოდ, უსაფუძვლოდ დააპატიმრა ორი უდანაშაულო პირი—გელოვანი და ბურდული, ეროვნულ დემოკრატების პარტიის წარმომადგენელნი. (ნინიძე: ყაჩაღები იყვნენ). დიდის ცდის, მრავალ თხოვნის შემდეგ თვით შინაგან საქმეთა მინისტრმა, თანახმად სასამართლოს წევრის კობიაშვილის მოხსენებისა, რომელსაც ჰქონდა მინდობილი სასტიკი გამოძიება ამის შესახებ,—გაანთავისუფლა გელოვანი და ბურდულიც. მერწმუნეთ, არ გაანთავისუფლებდენ მათ, რომ ისინი ყაჩაღები ყოფილიყვნენ. მე არ შევეხები იმას, თუ ერთი ხელმძღვანელობდა თიანეთის კომისარი. უნდოდა იმას, რომ სწორედ არჩევნების დროს თავიდან მოეშორებინა მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელნი, როგორც გავლენიანი პირნი ამ მაზრაში, თუ სხვა რამ პირადი განზრახვა ჰქონდა. აღვნიშნავ მხოლოდ ფაქტს: თიანეთის კომისარმა თავისუფალ რესპუბლიკის მოქალაქეს აჰყარა მისი უაღრესი უფლება და, როგორც ავაზაკი, ჩააგდო ციხეში. მერე ასეთის საქციელისთვის—მოქალაქის თავისუფლების ასე უდიერად და უკანონოდ მოსპობისთვის—თითონ კომისარი პასუხისგებაში არის მიცემული? არა. და თქვენ გნებავთ, რომ მილიციონერებს ეშინოდეთ პასუხისგებისა? მათ რომ ეს შიში ჰქონდეთ, განა ქალაქ ფოთში მოქალაქეები ჩავარდებოდენ იმ მდგომარეობაში, რომელზედაც ამას წინად მოგვითხრობდნენ გაზეთები? განა თფილისში ჩვენ შევქმნიდით ისეთ მდგომარეობას, რომელიც სულს გვიხუთავს და, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა გუშინ აქ, გადაგვკიდა ინგლისელები, ვინაიდან სიკვდილით დასჯილნი ავაზაკნი ერთი სახლიდან მეორე სახლში ვერ მიგვიყვანია. მათ რომ შიში ჰქონოდათ პასუხისგებისა, განა ჩვენ გასადევნი და დასაპატიმრებელი გაგვიხდებოდა თითქმის მთელი სისხლის სამართლის მილიცია? აქამდის ვერ ხედავდენ, რომ ეს მილიცია ბუდეჰყოფილა ბოროტების და არა წესიერებისა? განა ის გუშინ დაიბადა? სად იყვნენ აქამდის? მილიციას რომ შიში ჰქონდეს პასუხისგების, ადეიშვილი და მისი რაზმი განა გაბედავდენ იმის ჩადენას, რაც ჩაიდინეს ოკრიბაში? რასაკვირველია არა.

და როდესაც ამ შეკითხვის საპასუხოდ გამობრძანდა აქ შინაგან საქმეთა მინისტრი, მე მეგონა, ის ობიექტურად გააშუქებდა ამ საქმეს და გვიჩვენებდა ნამდვილ მიზეზს ოკრიბის დარბევისას. მაგრამ ბატონ მინისტრის პასუხი, მოულოდნელად და სამწუხაროდ, ყოვლად უმწეო იყო. უმწეო იყო იმის თავისმართლება იმაში, რომ 7 აპრილიდან 27 აპრილამდე მას შეძლებაც არ ჰქონდა რაიმე ზომები მიეღო, ვინაიდან „სახალხო გაზეთმა“ მახოლოდ 26 აპრილს იწება ამ ამბების გამოქვეყნება თავის ფურცლებზე. სჩანს ჩვენ შინაგან საქ. სამინისტროს არ ჰქონია სხვა წყარო, გაზეთის გარდა, სხვა საშუალება იმის გასაგებად, თუ რა ხდება მის საბრძანებელში. უმწეო იყო აგრეთვე მინისტრის ახსნა იმ მიზეზებისა, რომელმაც გამოიწვია ოკრიბის დარბევა, თურმე, ნუ იტყვით, დამნაშავე ყოფილა ოკრიბის აზნაურობა! როდესაც ადეიშვილი თავის რაზმით მივიდა ოკრიბაში ბრძანა ბატონმა მინისტრმა, ამ რაზმს შეუერთდა რამდენიმე წარმომადგენელი ადგილობრივ პრივილეგიურ წოდების, ე. ი. აზნაურები, და იმათ ზედგავლენით მოხდა ეს ბოროტმოქმედებაო.

ჩვენ რომ მივიღოთ ასეთი სისტემა არა სასურველ მოვლენების ახსნაში გამოდის რომ, მაგალითად, ჩვენმა მთავრობამ, ღმერთმა დაიფაროს იგი,—და რამე ბოროტმოქმედება ჩაიდინოს ერის წინაშე, ჩვენ მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ მთავრობამ ეს ბოროტება ჩაიდინა იმისთვის, რომ ყველა ჩვენ მინისტრებში და მათ თანაშემწეებში ორი თუ სამი კაცის გარდა,—სუყველა აზნაურშვილები არიან. რა შუაშია აქ აზნაურობა? მერე ისიც ოკრიბის თავადაზნაურობა! აბა, ვის გაუგონია? ოკრიბის აზნაური, ჯერ რევოლუციამდე, თითქმის არ განირჩეოდა გლეხისაგან და

წარმოიდგინეთ, რა იქნება ეხლა ოკრიბის აზნაურობა?! მაგრამ ეს ხომ დრომოჭმული ჩვეულობა არის, ძველი ხერხი ჩვენი სოციალ-დემოკრატებისა. ცრუმორწმუნე ადამიანს რამე უბედურება რომ დაატყდება თავზე ის ყოველთვის აბრალებს ამას ეშმაკს ან ფათერაკს. ჩვენი სოციალდემოკრატები კი ყოველივე უბედურობას ჩვენში აბრალებენ თავადაზნაურობას. თუ ეს საჭირო იყო რევოლიუციის პირველ დღეებში, —ისიც პარტიისათვის და არა ქვეყნისთვის, - დღეს პრივილეგიურ წოდებაზე ლაპარაკი სრულებით ზედმეტი არის. სად, ან რომელ ოკრიბაში ნახა ბ. მინისტრმა ისეთი თავადობა, ისეთი აზნაურობა, რომელთაც აქვთ „სასახლეები", „აივანები". ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა ბ-ნ მინისტრის მოხსენებამ, რომ აზნაურები გადმომდგარან ოკრიბაში თავიანთ აივნებზე წვიმიან დღეში, ზევიდან დასცქერიან გლეხთა ყრილობას და ეუბნებიან: ნუ აგვირჩევთ თქვენს წარმომადგენლებათ, ე, ი. ნუ გვცემთ ასეთ პატივსო. მითხარით სად, რომელ საქართველოს კუთხეში გინახავთ თქვენ, რომ ამ რევოლიუციის ხანაში გლეხები კალთას ავლებდენ აზნაურებს, თქვენი ჭირიმეთ, უსათუოდ ჩვენს წარმომადგენლებათ თქვენ უნდა აგირჩიოთო. ეს, დაგვეთანხმებით, დასაჯერებელი არ არის. (ხმა: ვერ გაგიგიათ!) მე მშვენივრად გავიგე, და კარგი იქნება, რომ თქვენც გაიგებდეთ რამეს. თუ ოკრიბის აზნაურობამ მოაწყო ეს საქმე, რით აიხსნება ის, რომ ადეიშვილის რაზმმა პირველ რიგში ჩააყენა 71 წლის მოხუცი ვინმე კახიძე და, როგორც ბ. მინისტრმა დაგვისურათა, ჩამოჰკიდა ხეზე და გაამათრახა. კახიძე ხომ აზნაური არის. (ხმა. არ ვიცოდით ეს). მხოლოდ უცოდინარობას შეუძლია წარმოშვას მოვლენათა ასეთი ახსნა. ბ. მინისტრის სიტყვით გამოდის, რომ ოკრიბის აზნაურებმა იმრიგათ მოაწყეს საქმე თავიანთ აივნებზე, რომ უპირველეს ყოვლისა თავისივე აზნაური გააშოლტინეს. გოგოლის ერთი გმირი კი ამბობს, რომ უნტერ-აფიცრის ცოლმა თავის-თავი თვითონ გაიწკეპლაო. მაგრამ, თუ ასეთ საბუთით ჩვენ აქ მოვგინდომებდენ დარწმუნებას, ეს სწორედ არ მეგონა. თუ თქვენ გგონიათ, რომ ასეთი მეთოდით, ასეთი ხერხით ამყარებთ წესიერებას? არა, თქვენ აღრმავებთ უწესოებას, იმიტომ რომ ასეთის ახსნით, ასეთის თქვენი ცოდვის სხვაზე გადატანით აძლევთ მასალას ყოველ თქვენ პროპაგანდისტს და ყოველ მილიციონერს, რომ სთქვას: ჩვენ მშვენივრები ვართ, ჩვენში ყველაფერი კარგათ არის მოწყობილი, მაგრამ თუ რაიმე უწესოება ხდება, ამაში დამნაშავე არის ან ოკრიბის აზნაურობა, ანდა, ვსთქვათ, მოხისის თავადობაო.

მაგრამ დავუჯეროთ ბ. მინისტრის მოხსენებას. წარმოვიდგინოთ, რომ ოკრიბის აზნაურობამ ისეთი გავლენა იქონია მთავრობის მილიციაზე, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ აიძულა ეს მილიცია, რათა მას ჩაედინა ასეთი აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედება. აქედან რა დასკვნის გამოტანა შეიძლება? მხოლოდ ერთის, რომ ჩვენ მთავრობას არ ჰქონია მოწყობილი ადმინისტრატიული აპარატი, არ ჰყოლია ისეთი მილიცია, რომელსაც შეეძლოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ინტერესების ღირსეულად დაცვა იმ უმნიშვნელო ძალის ბოროტ-განზრახვისაგანაც კი, როგორიც არის ოკრიბის აზნაურობა. მით უარესი მთავრობისათვის.

ასეთ მოსაზრებით, ასეთ საბუთებით გამოსვლა დამფუძნებელ კრების წინაშე, ბატონო მინისტრო, არც სახელმწიფო ინტერესებს, არც თქვენს მზეობას არ ეკადრება.

მთავრობა, რომელსაც მთელი თავის გონების გამჭრიახობით გათვალისწინებული აქვს ნათლად მაცოცხლებელი საჭიროებანი თავის ერისა, მთავრობა, რომელსაც მთელი თავის გრძნობით სწყურია და მთელი თავის ენერგიით მოწადინებული არის დაამყაროს წესრიგი და განამტკიცოს თავისუფალი ცხოვრება თავის ერის, არასოდეს არ შედრკება არავითარ ფაქტის წინაშე, და კიდევაც დამნაშავე თუ არის მთავრობა, თავის ცოდვებს ოკრიბის აზნაურობას კი არ გადააბრალებს, არამედ გულახდილად აღიარებს ერის წინაშე თავის დანაშაულს. იმიტომ რომ ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესი. იმიტომ რომ ასეთი გულახდილობა, ასეთი შეგნება თავის შეცდომებისა არის უპირველესი და უმტკიცესი საწინდარი იმის, რომ მთავრობა შემდეგში მაინც გამოასწორებს რაც გამოსასწორებელია და აიცილებს თავიდან ერს იმ არა სასურველ მოვლენებს, რომელნიც შავ აჩრდილებად დღემდის დასტრიალებენ საქართველოს დამოუკიდებლობას და მის თავისუფლებას.

## მთიელთა მთავრობის და პარლამენტის გაუქმება

მოხალისეთა ჯარმა პეტროვსკი აილო და როგორც დანამდვილებით იტყობინებიან დარუბანდიც აუღია.

ამ გარემოებამ მთიელთა მდგომარეობა მეტად შეარყია და მთავრობის კრიზისი გამოიწვია. კრიზისი გრძელდებოდა საღ დღეს და შემდეგ შესდგა პარლამენტის ისტორიული სხდომა. სხდომაზე ცხარე კამათის შემდეგ ერთდერთ გამოსვლად მიიჩნიეს პარლამენტის დათხოვნა და მთავრობის გაუქმება. ამრიგად დღეს მთიელები ღვთის ანაბარად არიან დატოვებულები.

ამ ამბებზე ინგლისის გენ. შატელვორტმა განაცხადა, რომ მოხალისეთა წინ სვლა მისთვის სრულიად მოულოდნელი და გაუგებარია.

## ქრონიკა

— **ფინანსთა მინისტრთან.** ამ დღეებში კოოპერატიულ ყრილობის თავმჯდომარემ ბ-ნ ს. მაჭავარიანმა ინახულა ფინანსთა მინისტრი და ეთათბირა საქართველოში კოოპერატიულ ბანკის გახსნის შესახებ. მინისტრმა დახმარება აღუთქვა მას.

— **26 მაისის დღესასწაული ბათომში.** ბათუმიდან შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებენ: „დღის ეროვნულ დღესასწაულის გამო ბათუმში შესდგა დიდი მიტინგი. რომლის დამთავრების შემდეგ ყველა მონაწილენი შეიკრიბენ საქართველოს საკონსულოს სადგომის წინ. მიტინგის წარმომადგენლები მიესალმენ კონსულს და აცნობეს მიტინგის მიერ გამოტანილი რეზოლიუცია, კონსულმაც თავის მხრივ მხურვალე სიტყვით უპასუხა. რის შემდეგ ხალხი წავიდ-წამოვიდა იქით-აქეთ, ეროვნული სიმღერებით. დელეგატები უცხო წარმომადგენლებთან ერთად კონსულმა მიიწვია.

— **მიმოსვლა იტალია საქართველოს შორის.** იტალიის სამხედრო მისია აცხადებს, რომ ამა წლის 14 მაისიდან დაიწყო მიმოსვლა სახალხო გემებმა. ტრანტოდან კონსტანტინეპოლით ბათუმამდე და უკანვე შემდეგი წესით. ტარანტოდან გამოდის ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე, კონსტანტინოპოლში მოდის შაბათს, საღამოს 6 საათზე, ბათუმში კი ხუთშაბათს დილის 6 საათზე. ბათუმიდან გადის უკანვე პარასკევს საღამოს 6 ს., კონსტანტინოპოლში—ორშაბათს დილ. 10 ს., ტრანტოში—შაბათს დილის 6 ს. გემების სახელები: „ფერენც-ფერდინანდ", „გრაც" და „ფერენც იოსებ კირალლი". პირველი გემი ბათუმიდან გავა 30 მაისს საღამოს 6 საათზე.

### სხვა და სხვა ამბები.

— **თვითმკვლელობა.** 27 მაისს ღამის 1 საათზე საგანგებო რაზმის ბინაზე თავი მოიკლა საწყობის გამგემ ივ. ალავიძემ, რომელსაც ბრალდება საქართველოდან საქონლის გატანა ყალბი მოწმობით.

— 26 მაისს დილის 6 საათზე ცხენოსან რაზმის უფროს უნტერ აფიცერმა ბორ. კახილიძემ რევოლვერით თავი მოიკლა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **სისხლის მილიციის უფროსის ბრძანება** სისხლის მილიციის უფროსის ბრძანებით 27 მაისიდან მილიციელებს გამოძიების დროს აეკრძალათ ძალადობა იხმარონ ტუსაღებზე.

— **დატუსაღება.** სისხლის მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს ამავე მილიციის უფროსი მილიციელი ვ. პესტალოვსკი მას ქრთამის აღება ბრალდება.

იმავე მილიციის უფროსის ბრძანებით დააპატიმრეს ამავე მილიციის მილიციელი ივ. სიხარულიძე, რომელსაც ბრალდება მკვლელობა და სხვადასხვა ბოროტმოქმედებანი.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ მეთაურში დაბეჭდილია: საერთო ჯამი ჩვენი შეცდომების, ჩვენი ძალა-ენერგიის უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე ყველა ჩვენი მტრებისა **უნდა იყოს:** საერთო ჯამი ჩვენი შეცდომების უფრო ნაკლები, ხოლო ძალა-ენერგიის უფრო მეტი აღმოჩნდა ვიდრე ყველა ჩვენი მტრებისა.

**დაბეჭდილია:** არც უკან დახევება შეიძლება. უნდა იყოს არც უკან დახევა.

## პარტიული ცხოვრება

### მესამე პარტ. კონფერენცია

ჩვენი პარტიის მთავარმა კომიტეტმა უკანასკნელ თავის სხდომაზე დაადგინა თიბათვის 21-ს მოწვეულ იქმნას პარტიის მესამე კონფერენცია. დელეგატები არჩეულ უნდა იქმნენ 500 კაცზე თითო. საცა ნაკლებია, იმ ორგანიზაციიდან თითო წარმომადგენელი უნდა გაიგზავნოს. კონფერენციის მუშაობის გეგმა ცალკე იქნება გამოცხადებული.

### სამხატვრო ქრონიკა

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს, 29 მაისს, მ. დავიდოვას და ტ. ორდას მონაწილეობით—„ბორის გოდუნოვი". ხვალ, 30 მაისს, ბაუერზაქსის და ვაკარეცის ბენეფისი. საბალეტო წარმოდგენა: 1. ჯადოსნური სალამური; 2. საბალეტო დივერტისმენტი; 3. ქორწილი მალოროსიაში შაბათს, 31, მ. ალეშკოს ბენეფისი— „ჰუგენოტები".

—

**არტ. საზ-ბის თეატრი.** დღეს, 29 მაისს, ცნობილი პიესა—„ვერა მირცევა" (დილით). საღამოთი—გრაფ ა. ნ. ტოლსტოის პიესა „დანტონის სიკვდილი".

—

**არტ. საზ-ბის საკ. დარბაზი.** დღეს, საზოგადოების მოთხოვნილებით განმეორდება კომიტასის კონცერტი.

—

**ვასილ ბარნოვის სამწერლო 30 წ. იუბილე.** მწერალთა კავშირი თიბათვის პირველ რიცხვებში მწერალ ვასილ ბარნოვს სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს უმართავს.

—

**ქართ. პოეზიის ანტოლოგია.** ქუთაისურ პოეტებმა გამოსცეს ქართულ ახალ პოეზიის ანტოლოგია. წიგნი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 80 გვერდს და ჰღირს 15 მან.

**გალაქტიონ ტაბაძის წიგნი.** დაიბეჭდა გალაქტიონ ტაბიძის მეორე ტომი ლექსებისა: Crûne Aux lures artis tiques (1914—19 წ.)

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

28 მაისი.

### ფრანგული პრესა.

**მოკავშირენი და ჰუნგრეთი.**

უმაღლესი ეკონომიური საბჭო აცხადებს, რომ მოკავშირეებმა გადასწყვიტეს შესწყვიტონ ჰუნგრეთის ბლოკადა, როგორც კი იქ შესდგება მტკიცე მთავრობა და განსაზღვრული წესწყობილება უზრუნველ ყოფილი იქნება.

**ელჩი ლაუდონი.**

„ჟურნალ დე დება", ნიდერლანდის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრის ლაუდონის პარიზში დესტუერას მაგიერ ელჩად დანიშვნის გამო სწერს, რომ ამ ნაირად საფრანგეთის და ჰოლანდიის ინტერესები ისეთ კაცის საიმედო ხელშია, როგორც ლაუდონია და დაიმედებული უნდა ვიყვეთ, რომ ამ ორი ერისთვის ყველა საერთო საკითხი მეგობრულ შეთანხმებით გადასწყდება.

### გერმანული პრესა.

**რანტცაუს ნოტა.**

მაისის 22 ბროკდორფ-რანტცაუს მიერ კლემანსოსთვის გადაცემული ნოტა საერთაშორისო შრომის კანონმდებლობის და მუშათა კავშირის კოოპერაციის შესახებ შემდეგი შინაარსისა: „მაქვს პატივი დავადასტურო რომ მივიღე მაისის 14 თქვენ მიერ გამოგზავნილი ნოტა, რომელიც შრომის კანონმდებლობის შესახებ ჩვენი ნოტის საპასუხოდ იყო გამოგზავნილი. გერმანიის დელეგატები ცნობად ღებულობენ, რომ მოკავშირენი გერმანიის მთავრობას ეთანხმებიან, რომ კაცობრიობის მშვიდობიანობა და წარმატება შრომის ამ საკითხების ვადაჭრაზეა დამოკიდებული, მაგრამ გერმანიის დელეგაცია არ ეთანხმება მოკავშირეებს, იმაში თუ როგორ გადაწყდება ეს საკითხები. გაუგებრობის და შეცდომების თავიდან ასაცილებლათ გერმანიის საზავო დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს რამდენიმე უფრო ვრცელი განმარტებანი მაისის 10-ის ნოტის მთავარი მიზნების შესახებ. მუშათა უფლებების და შრომის დაცვის შესახებ, გერმანიის ხალხის აზრის თანახმად, მუშებმა თვითონ უნდა სთქვან თავისი გადამწყვეტი სიტყვა გერმანიის დელეგაცია აპირებდა, რომ საზავო კონფერენციის მუშაობის მსვლელობასთან ერთად მოწვეულ ყველა ქვეყნის მუშათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელსაც უნდა გამოეტანა შესაფერი დადგენილება და გერმანიის სახალხო მთავრობის პროექტი მუშათა კავშირების კონფერენციისთვის შეეთანხმებიათ. მოკავშირენი არ დათანხმდნენ ვაშინგტონში ასეთ ყრილობის მოწვევას თუმცა ის საზავო კონფერენციის მნიშვნელობას არ დაუკარგავდა, რადგანაც მუშათა კავშირთა ყრილობა იგულისხმებოდა საზავო პირობებში. გერმანელების განზრახვები იმდენად ფართეა, რომ საზავო მოლაპარაკების დროს მუშათა ორგანიზაციების მონაწილეობა და დასკვნა აუცილებელია.

## მიხედეთ ოფიცრებს.

თითქმის უდაოა ყველასათვის, რომ ყველა სამსახურზე უფრო ძნელი და საპასუხისმგებლო—ოფიცრის სამსახურია. წავიდა ის დრო, როდესაც ოფიცერი მთელის ათწლობით მარტო იმის ცდაში იყო, თუ როგორ გამოწყობილიყო კოხტად, ლამაზად.—საქართველოს სახელმწიფოს ოფიცრობას ამისთვის აღარ სცალიან. ის ხმალამოწვდილი ხან ერთ ფრონტზე იბრძვის. ხან მეორეზე და თავგამოდებით იცავს სამშობლოს ტერიტორიას და მშობელი ერის სუვერენობას.

თუ ოდესმე ოფიცრობა, მხედრობა სამარცხვინო იყო, თუ ოდესმე ოფიცრის ცხოვრება ფუქსავატური და უშინაარსო გახლდათ, თუ ოფიცერთა წრე იყო ნიმუშად, ლოთობასა და უდარდელობისა—დღეს ასე არ არის. ტყუილად ნუ გადმოიტანენ ძველ შეხედულებით ახალ საქართველოს ოფიცრობაზე. ჩვენ დღეს უკვე ვამჩნევთ ოფიცრობაში თავის მოვალეობის შეგნებას. რასაკვირველია, ახლაც არიან „რჩეულნი მცირედ", ჩვენი მთავრობის ერთგვარი დაუდევრობისა გამო, რადგან ჯარის სათავეში: გენერალურ განყოფილებაში, თუ რაზმთა შტაბებში მყოფ რუსიფიკატორ გენერალთა, თუ პოლკოვნიკთა წყალობით, სამშობლოს ერთგულნი ოფიცრები შტატს გარეშე არიან დატოვებულნი, მაგრამ ვინც კია სამსახურში, ყველა პირნათლად ეკიდება თავის მოვალეობას.

ბევრი მათგანი გმირულად ეცემა ბრძოლის ველზე, ბევრი დასახიჩრებული უბრუნდება დედმამას, ბევრი გაძარცული, შიშველ-ტიტველი ბრუნდება ჯარში,

ახალგაზდა ოფიცრობა, რომელიც სიკვდილს გადურჩება ბრძოლის ველზე ნივთიერად და სულიერათაც ზიანდება. ეშლება ნერვები, ავადმყოფდება და ჰლექდება. ძნელია ოფიცრის ბედი დღეს და ასეთ პირთა მატერიალურ უზრუნველყოფაზე საჭირო იყო ეზრუნვა მთავრობას; მაგრამ, სამწუხაროდ, მთელ რესპუბლიკაში ქუჩის უბრალო მხვეტავიც კი ორწილ მეტს ღებულობს, ვიდრე ქართველი ჯარის ოფიცერი.

ხუთასი მანეთი თვეში მუდამ ბრძოლის ველზე, სიკვდილის წინ მდგომ მხედრისათვის—ეს პირდაპირ დაცინვაა და სხვას რომ თავი დავანებოდ, ულვთო ექსპლოატაცია სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს მიერ იმ შრომის ენერგიისა, იმ სიცოცხლისა, რომელიც ყოველ წუთს სასიკვდილოთ არის განწირული.

ხუთასი მანეთი დღევანდელ პირობებში ერთი კვირის საზრდოც არ არის და თვიურ ჯამაგირად ამ თანხის დაკანონება, ეს სიმშილით სიკვდილის დასჯის განაჩენის გამოტანაა ოფიცრებთათვის მთავრობის მიერ!

ამბობენ ახლა თითქმის 100 პროც. უმატებენო, მაგრამ ესეც არაფერს შველის. 1000 პროც. ყველაფერი გაძვირდა და 100 პროც. მომატება ესეც მშივრებთათვის ცივი ქვის მიწოდებას უდრის.

გაცხრილეთ ოფიცრობა, განსდევნეთ იქიდან რესპუბლიკის ორგულნი და დენიკინის მოსვლის მონატრული ძველი გენერლები, პოლკოვნიკები. ამდენი ჩვენთვის საჭიროც არ არის. ჯარს ეყოფა ხუთი გენერალი და ოცი პოლკოვნიკი ახალ შტატების მიხედვით. ესენი ბათალიონებს უნდა უფროსობდნენ, ხოლო გუნდებზე პოლკოვნიკების დაყენება ეს იმას უდრის, რომ ას პოლკოვნიკს სამადლოდ ჯამაგირი აძლიო. სამადლოდ იმიტომ, რომ ომის დროს ყველა ისინი თავს მოიავადმყოფებენ და ბრძოლაში წასვლა მოუხდებათ ყოველთვის ახალგაზრდებს, როგორც ეს ხდება მე 5 ქვეითა რაზმში.

უნდა გაიცხრილოს ოფიცრობა, შტატის შემოკლება უნდა მიენდოს სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილებას და არა გენერალური შტაბს, თუ რაზმის უფროსებს და ახალ შტატში დარჩენილ საიმედო ოფიცრობას უნდა დაუნიშნოს ჯამაგირად არა ნაკლებ ორი ათასი მანეთისა თვეში დაწყებული უმცროსი ოფიცრებიდან.—მაშინ ჯარიც ამაღლდება თავისს მოწოდების სიმაღლემდე და ოფიცრობაც რიგისამებრ ემსახურება რესპუბლიკას, რადგან ძველი ნივთების გაყიდვა ბაზარზე ორიოდე გროშის საშოვნელად მას არ გააცდენს.

მიხედეთ მას სიმშილისაგამო სული ძვრება, ბავშვები უპურობისა გამო უჭლექდება.

ჩი—თო.

## პროვინციიდან

### ქართლი.

**ცხოვრების ანარეკლი.**

ქართლში ამ ჟამად შედარებით დიდი სიმშვიდეა. შარშან რომ კვირაში რამდენჯერმე ცარცვა და მცხოვრებლებზე დაცემა ხდებოდა. წელს იგი დიდი იშვიათ მოვლენა არის, თუმცა ტყეც ფოთლით არის შემოსილი და ავაზაკებს უშიშარი თავშესაფარი აქვთ.

ცხინვალის რაიონის კომისარი დ. ციცქიშვილი მხნეთ იქცევა და თავის ერთგულ ხელქვეითი მილიციონერების თანამშრომლობით, რომელ ავაზაკებს და ქურდს ხელს ჩაჰკიდებს, ისეთი ოქმით გაისტუმრებს „ვირის აბანოში" რომ იქიდან თავს ვეღარ გამოჰყოფს და ასე ამ გვარად მოჰკრიფა ყველა დღევანდლამდის ბოროტების ჩამდენი და გაისტუმრა ციხეში. ხოლო დანარჩენებს შიშის ზარი დასცა. ამ მშვიდ მიწის მუშა მებაღეს და სოფლის მასწავლებელს არ სჭირდება თვით ფეხამდე შეიარაღება და ისე მთელი დამცველი რაზმით სიარული თავის სამილიციო რაიონში, ის ყველგან და ყველასთან პატივისცემით თავისუფლად დადის და აგვარებს მშვიდობიანათ საქმეებს.

ცხინვალის მხარეს ჩვენი ჯარი შემოვიდა ყველა თავის საომარი იარაღით და ცხინვალის მიდამოებში დადგა. განუწყვეტელმა წვიმებმა და სიცივემ ჯარის კაცნი შეაწუხა, მაგრამ ისინი მხნეთ იტანენ ყოველგვარ გაჭირვებას. პროვოკატორები ამ ჯარის შემოსვლის გამო მრავალ ცრუ ხმებს ავრცელებენ მცხოვრებლებში, მსგავსად შარშანდელ გვარდიის მიმართ ცრუ ქადაგებისა, რამაც გამოიწვია ცხინვალის აჯანყების საქმეში ქართველების მონაწილეობა ოსებთან ერთად.

ოსები და ნაოსარი ქართველები. რომლებიც ოსების წინამძღოლებმა თავისკენ მიიმხრეს, დიდს აღშფოთებას და შიშს განიცდიან ამ ჯარის შემოსვლით. ხმებია, რომ ჯარმა ოსებს იარაღი უნდა აჰყაროსო, რომელთაც ვითომ დენიკინთან მყოფ პირიქით ოსებთან კავშირი უნდა ჰქონდეთ და გადმოსავალი გზები პირიქით კავკავიდან გაამაგრონო. ამის გამო ჯარის წინააღმდეგ ამაღელვებელ ხმებს ავრცელებენ ბოროტი ენები; ვითომ ჯარის კაცები ცხინვალში დუქნებს ძარცვავენ ღამე, მინდორში ცხენებს ყანებში უშვებენ და აძოვებენ, ვითომ ნავთსა და სხვა სავაჭროს ოსებზე აღარა ჰყიდიან და სხვა და სხვა

კვირას 18 მაისს ცხინვალში ყველა საქართველოში მოსახლე ოსების წარმომადგენლები ჩამოვიდნენ კრებაზე, რომელიც საჩქაროთ იყო მოწვეული თანახმათ ჯარის უფროსის ბრძანებისა. ოსების ეროვნული საბჭო დღეს მთელი თავის შემადგენლობით გაქცეულია მაღლა დოვლითისკენ.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის სამ საათზე ცხინვალის სასამართლოს დარბაზში. კრებაზე მარტო მოწვეულ ხალხს უშვებდნენ.

ქართველებისგან მოწვეულ დელეგატებს ადგილი არ ეყოთ, კრებას დასწრებოდნენ.

კრება გაიხსნა ა. თიბილოვის თავმჯდომარეობით. ჯარის უფროსმა გენერალმა გამოუცხადა კრებას, რომ იგი არის მოსული მთავრობის ბრძანებით და დავალებით, რომ აღადგინოს დაამკვიდროს საქართველოს რესპუბლიკის წეს-კანონები და ხელმწიფება, რომელიც ცხინვალის რაიონში და სხვაგანაც სადაც ოსების ერ. საბჭო ხელს აწვდის, დარღვეულა. იმედი მაქვსო, დასძინა ღენერალმა, რომ ოსები დამეხმარებიან ჩემდამი დავალებულ საქმეშიო.

შემდგომ ილაპარაკა გორის მაზრის კომისარმა ქარცივაძემ, რომელმაც მთელი რიგი ბრალდებისა წამოუყენა ოსების ეროვნულ საბჭოს.

ზოგიერთი ბრალდება ხაზგასმით აღნიშნა ოსების ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მათე სანაყოევის მიმართ. რომ მას გორის მაზრის კომისრის და საქართველოს მთავრობის დაუკითხავათ გაუწერია მცხოვრებლებზე ხარჯები და აუკრეფია. გადაუყენებია მთა ოსეთის, კომისარი ლ. ცხოვრებოვი, რომელიც თვით ოსებისგან ყოფილა არჩეული და საქართველოს მთავრობისგან და დამტკიცებული. როცა ყველა ესეთი ერ. სამ. თავმჯდომარის მათე სანაყოევის საქციელი გორის მაზრის კომისარს შეუტყვია, მ. სანაყოევი გამოუძახნია ტელეფონთან, მაგრამ იგი წონა-კუდაროსკენ ყოფილა წასული, მერე საგანგებო კაცი გაუგზავნინებია ოსებისგან და სასწრაფოთ გორში დაუბარებია. მას ტელეფონოგრამით შემოუთვლია, რომ იგი არ ექვემდებარება გორის მაზრის კომისარს და სავსებით ემორჩილება სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს დადგენილებებს. როცა თვით ქარცივაძე მოსულა ცხინვალს, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს სამყოფი სახლი ცარიელი დახვედრია, ყველანი სადღაც გაპარულან. და აი ამის გამო უნდა მივმართოთ წესიერების აღმდგენ ზომებსო, დასძინა კომისარმა.

ბ. ქარცივაძეს პასუხი გასცა ოსების კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. თიბილოვმა და თავის მხრით ბრალი დასდო, საქართველოს მთავრობას, რომელმაც აქნობამდის ოსებზე არაფერი იზრუნა და სათანადო გზაზე არ დააყენა, რის გამოს ოსთა ეროვნულმა საბჭომ დანაშაულობა ჩაიდინაო, თუ კი ეს დანაშაულობათ ჩაითვლება და თავნებათ მეტი ნაბიჯები გადადგაო. მერე მოიყვანა მაგალითები, რომელი თავისუფალი მოქმედების დასტური აქლოთ ოსების წარმომადგენლებს მთავრობის უმაღლეს წარმომადგენლებისგან. რომ მეორე ოსების ყრილობაზე გამოტანილი იყო განაჩენი დარჩნენ ოსები საქართველოს სამზღვრებში და საქართველოსთან ერთათ იყვნენო, იქ იმ ყრილობაზე, ს წუნარში დიდმა ლიდერმა კაკი წერეთელმა გვითხრაო რომ ვინძლო ოსები, საქართველოსთან დარჩით თქვენც არ ჩაიდინოთ ის შეცდომა და არ ჩამოშორდეთ საქართველოს, როგორც ეს საქართველომ ჩაიდინა და რუსეთს ჩამოშორდაო. შემდგომ სხვა და სხვა დროს მივმართეთ ჩხენკელს, გეგეჭკორს ნოე ჟორდანიას და ყველამ დასტური დაგვცა ჩვენ თავისუფალ ეროვნულ მოქმედებაშიო. თიბილოვმა დიდხანს ილაპარაკა ამებზე, რაზედაც ქარცივაძისგან აღელვებული პასუხი მიიღო და უარ ჰყო საქართველოს მთავრობის მიმართ ბრალდება.

ბოლოს კრებას შეეკითხა თიბილოვი რა გინდათო, ერთმა მაღლა დავლითელმა კითხვა მისცა: აკი ჩვენ გვპირდებოდნენ ფართო ეროვნულ-ტერიტორიალურ მართვა გამგეობასო? უკვე გვიანი იყო და კრება მეორე დღისთვის გადაიდო.

მეორე დღეს კრებაზე საქართველოს ჩრდილოეთის სამზღვრების დაცვაზე და ოსებისაგან სალდათის გამოყვანაზე იყო ლაპარაკი. კავკასიონის მთის ამ უმაღლეს ნაწილზე სამი გადმოსავალია: ჩრდილოეთიდგან ორი—ბილიკებით და ერთი რაჭისკენ, ეგრედ წოდებულ ოსეთის სამხედრო გზა. ყველა ეს გადმოსავალი ზამთრობით შეკრულია დიდი თოვლისა და ზვავებისაგან. წელს კი უთოვლობის გამო მთელი ზამთარი გზა ხსნილი იყო. ამ გზებზე დარაჯების დაყენების აზრმა ოსების წარმომადგენლები დააფიქრა გზებს ჩვენ დავიცავთო ქართველებს ჯარის ნაწილების ჩაყენება საჭირო არ არისო, თუმცა თუ ჩრდილოეთიდგან შემოესია ვინმე, ჩვენ ვერ გაუწევთ წინააღმდეგობასო. დენიკინის შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში ბატონობას დაამკვიდრებს და ამას ჩვენ ვერ შევეგუებითო. ქართველი ჯარის კაცები რომ ჩადგნენ, ვაი თუ მათაც იარაღი წაართვონო და სხვა ამნაირები გესმის ეხლა ოსებისაგან. იარაღის აყრაზე კითხვა არ ყოფილა აღძრული.

უნდა ვსთქვათ რომ ამ მთებზე გადმოსავალ გზებზე სადარაჯოების გამართვა აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს ჯერ ერთი იმისთვის, რომ ნაქურდალ საქონელს ამ გზებით გაპარებას პირიქით კავკასიისკენ გზა შეეკვრება, ისე პირიქიდგან მოპარულ საქონელს აქეთ გადმორეკვას შეეკვრება გზა და აილაგმებიან ის პროფესიული საქონლის ქურდები, რომელთაც მტკიცე ერთობა აქვთ როგორც პირ აქეთ ისე პირ იქით ოსის ქურდებს და შინაურ საქართველოს ქურდებსაც. მერეა და ამ მთებში მდგომ საძოვრებზე წვრილ ქართულ მეცხვარეებს პირ იქით დამცემ ოსებისგან შიში აღარ ექნებათ და ისეთ ზარალს აღარა ნახვენ, როგორც ნახეს მარიამობისთვეში, როდესაც 1200 სული ქართველებს მოსტაცეს ოსებმა, დატაცებული ცხვარი დღესაც ვეღარ დაიბრუნეს, თუმცა მომტაცებლები ბევრჯელ ხელში ჰყოლია ოსების გამგე ეროვნულ საბჭოს და კამისარ ლეო ცხოვრებოვს. გარდა ამისა პირიქით კავკასიიდგან ყოველ გვარი სავაჭრო საქონლის გადატან-გადმოტანი არის გაჩაღებული და საბაჟოს გამართვა საჭირო არის. თვით მუშა ხალხი ქართველებთან მოსახლე ოსები ნათელ მირონობას ეფიცებიან. ჯავის საზოგადოება მზათ არის ყოველივე მთავრობის ბრძანებას დაემორჩილოს და იარაღიც ჩააბაროს. სხვები კი ყოყმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოზენ, რომელთაც აშინებენ პროვოკატორები, რომ იარაღი ჩააბაროთ, მაშინ უიარაღო ხალხს გაგწყვეტენო, და სხვა ამგვარი.

—

ქინახულს კაი პირი უჩანს, პურმა და სიმინდმა საზღაპროთ აიწია, 200 მან. ხორბალი, 100 მან. ფუთი სიმინდი.

ავადმყოფობამ—სახადმა—დიდძალი ხალხი იმსხვერპლა, რამაც ბევრი საიქიოდან დაბრუნებული მოქადაგეები გააჩინა, რომელთაც უნახავთ საიქიოს კუპრის ტბა, ბეწვის ხიდი, სამოთხე, ჯოჯოხეთი.

ქელეხებზე გაწეული ხარჯი და ტაბლა-სუფრები იმ სახით იქ საიქიოს თავმოყრილი, რა სახითაც აქ დაუხარჯნიათ, დედამიწას უჩივლია ღმერთთან, რა ამბავია, რომ საქართველო სისხლით ირწყვება, ხალხი წყდებაო, ღმერთო მიშველეო. ღმერთიც გამწყრალი უბძანებს, აბა როგორ უშველო, ხარი გააჯავრებს ღმერთს აგინებენო, კაცი გააჯავრებს ღმერთ აგინებენო. ბოლოს დედამიწამ სთხოვა ღმერთსო, რომ შეამცირე სიკვდილიო და მორიგდნენ მესამედი გაწყდესო და ორი წილი ბედნიერად დარჩესო. აი ასეთ უვიცობაშია ხალხი და ერთი ცოცხალი სიტყვის მთქმელი არავინ არის. ოსებს გაუჩნდათ მოქადაგეები, რომლებიც უკრძალავენ პარასკეობით ხარის შებმას გუთანში, შაბათობით შუადღის უკან მუშაობას, კვირა ხომ კვირაა და ორშაბათს მუშაობას უკრძალავენ, რაზედაც ხელწერილი დასდეს და მტკიცედ უქმობენ ამ ოთხი დღის დადებულ უქმეებს.

—

მიწადმოქმედების სამინისტროსგან იყვნენ გამოგზავნილი მოხელეები კულტურიან მამულების მისაღებათ. მიიღეს ავსარქისოვის, ფრიდონოვის, აფრიკიანის, მიხა მერაბოვის, ნიკო კეცხოველის, ვანო მაჩაბლის, ვასო მაჩაბლის, ძმათა დიასამიძეების და სხვათა მამულები კულტურულ ფონდში, თავის ინვენტარით და სამუშაო საქონლით, რამაც პატრონების უკმაყოფილება დაჰბადა. წვრილ საგლეხო მეურნეობის შექმნამ და დიდრონი მამულებში მეურნეობის დაშლამ ცუდი შედეგი მოიტანა. დიდ მამულებში დაცული ძვირფასი სამეურნეო იარაღები დატაცებულია, ან და უცხოელებმა შეისყიდეს და მოაშორეს საქართველოს ტრაქტორები, სალეწი, სანიავებელი მანქანები, ელექტრო-მოტორები და სხვანი, ასე რომ ახლად ფეხადგმული ევროპიული სასოფლო მეურნეობა ჩაქრა. მაგალითებისთვის მ. ერისთავის, კოსტა ამირეჯიბის, გიორგი ვეზირიშვილის და სხვათა მეურნეობა მოისპო, თავის ძვირფასი სამეურნეო მანქანებით.

—

გორის მაზრის ერობამ უკვე პრაქტიკული მუშაობა დაიწყო და ძალიან მხნეთაც მოჰკიდა ხელი მუშაობას. იძენს და ურიგებს წვრილ ერთეულებს ყოველგვარ საჭირო საქონელს როგორც საოჯახოს, ისე სამეურნეოს, სათესლეს, შაბიაბანს და სხვას. სოფლის სკოლებს და სახელოსნოებს იბარებს. მომქმედ ხალხს აქეზებს და თავის გარშემო იკრებს, თვით ერობაში მომუშავენი დიდის ხალისით მუშაობენ საქვეყნო საქმეებისთვის. მთავარი საქმეები: გზები, სარწყავი რუები, საცდელი მინდვრები, სახელოსნოები, სასწავლებლები და მრავალი სხვა.—ყველა გათვალისწინებული აქვთ და შრომობენ მისთვის.

ა. ლ.

—

## სოფლის ვითარება

„რაც იყო ის არ არის, რაც არის ის ნულარ იქნება“ ამ სიტყვებს წარმოსთქვამთ, როცა ყურს დაუგდებთ სოფლის დღევანდელ მაჯის ცემას და სულიერ განწყობილებას.

ჩვენი წინანწარი რწმენა და სურვილიც ის იყო, რომ ეროვნულ თავისუფლებას ძლიერი განწმენდა მოეხდინა სოფელში. შეენძრია სოფელი და სოფლის ხალხი ეროვნულ თვითშემეცნებით ზიარებული სახელმწიფოსთვის საიმედო დასაყრდნობლად გაეხადა.

დამოუკიდებლობის მომენტი ხალხში საქართველოს ხელმწიფების ინდივიდუალიზმის ამბეჭდავად უნდა წარგზავნილიყო სოფელში...

სოფელს უნდა ეგრძნო გუშინდელი უცხო მონობის მოშორება და ქართველი ხალხის დღევანდელი თვითხელმწიფება.

სოფელს იმ თავიდანვე შეგნებაში უნდა ჩაჯდომოდა თავისი პირდაპირი და აუცილებელი მოვალეობა სახელმწიფოსადმი.

სავალალოდ ამ რწმენათ ჩვენ ისე დავშორდით, როგორც ცა დედამიწას.

სოფლის „მისიონერების“ მისია დღეიდან „დიდი რევოლუციისა“ არ გასცილებია სოფელში „ჰენიოსურ ნიჭით იმის მტკიცებას, რომ კერძო საკუთრება ბოროტებაა, ბურჟუაზია ხალხის მტერია, სოციალდემოკრატია კი მხსნელი ეს და ეს მარქსის ან შუქურ ვარსკვლავის პარტია უძლეველია და ყველამ მიეცით მას ხმა!..

ეს მესამე წელიწადია ჩვენი დროის მოღვაწეთაგან ხალხი მხოლოდ ასეთ ქადაგებას ისმენს.

ჩვენ ვიცით, რომ ხშირად პარტიულ კლუბში რევოლუციურ სხურებით ნაკურთხ მოქადაგეს ეშლება თავის ზიარება და ხშირად მარქსის მაგივრად მიხაილოვსკის იძახის, ხოლო რა გასაკვირია რევოლუციურ მერცხლებისგან მიწოდებული სახარება ვერ გაიგოს სოფლის ხალხმა და იგი დაიბნეს.

ამ ჟამად სოფლის ხალხს, არც ერთი პარტიის არაფერი არ სწამს.

პარტიები ერთმანეთს ებრძვიანო ამბობს სოფლის ხალხი.

ახლა გასაოცარ ხარბად მოგეჩვენებათ, ის ელვის სისწრაფით იტენის ჯიბეში ქაღალდის ფულს, გადასახადი ხაზინაში არ შეაქვს, ჯარში ნაკლებად მიდის და ნამდვილ ანარქიულ ელემენტად ქცეულა.

მიხვალთ მასთან დაეკითხებით თუ რად სჩადის ასე. პასუხად იღებთ. დღეს ყველა შოვნაზეა, ჯარში რომ წავიდე ვის ან რისთვის უნდა ვემსახურო, გადასახადიდან აკი გაგვანთავისუფლეთ?

ამაზე უარესი კიდევ ის არის, რომ სოფელი არავის არ ენდობა სოფელში ამბობენ: „ყველა ქრთამს იღებს ქრთამის შემწეობით სახლში მოდიან ჯარში წასული ბიჭები, კოოპერატივებში და სხვა საქმეში ხალხი დავაყენეთ, ყველგან გაგვძარცვეს, ფულები გაფლანგეს და შემდეგ წავიდენ ასე იქცევიან“ ხალხის ერთგული მოჰირნახულე შვილები და რა უნდა მოგვეთხოვა ჩვენ იმ ოხერ ძველი რეჟიმისთვის, რომელშიც ჩვენი კაცი ათასში ერთი თუ იქნებოდა, თორემ სხვა სულ რუსი, ოსი და ლეკი იყო...

სოფლის ხალხი ოდნავადაც არ არის დარწმუნებული მთავრობის ძლიერებაში. „ძველ რეჟიმს ძალა მაინც ჰქონდა, დღეს არც ეს ძალაა, ან სადმე თუა, იქ ბოროტი სულები ქრთამით იკეთებენ საქმეს, ყველა სასტიკი კომისარი იმავე დროს გულუხვობით იღებს ფულს და მეტად კმაყოფილია თუ ნიკოლოზის ფულს მისცემთ.

სოფელი განცვიფრებულია, რომ ხალხში ამ ბოლო დროს მთავრობის შიშთან ერთად მოისპო ღვთისა და სინიდისის პატივისცემაც. არაჩვეულებრივად ხშირდება მკვლელობები, უმეტეს წილად სულ უბრალოზე.

წაიჩხუბნენ და ერთმანეთი დახოცეს, ასეთი ქრონიკა ხომ ყოველ დღე მდიდარი გვაქვს ჩვენს პრესაში!..

სოფლის ხალხი დღეს გაფიცულია და ეროვნულ მომენტს განზე გასდგომია.

თავბრუდასხმულია ხალხი ერთი იმით, რომ ქაღალდის ფულები ბევრი იშოვა და მეორე იმით, რომ „მარქსისტების“ ქადაგებისაგან ჰქუა გამოილაყა, საოცარის სიხარბით ლოთობს. შაბათს და კვირას სოფელი ლოთების სამეფოს წარმოადგენს...

იმ დროს, როდესაც რომელიმე ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა აკლია, სოფელში დევის მსგავსი ბიჭები „ამხანაგ კომისრისგან შეწყნარებულნი“ დღე და ღამ ქეიფში და კარტის თამაშში ატარებენ...

გასაკვირიც არ არის, სოფლის ხალხმა სრულებით არაფერი იცის საქართველოს თანდროულ მდგომარეობის შესახებ...

სად არის ომი, ან ვინ არის ჩვენი მტერი, ან ვინ იმარჯვებს, ამას „დემოკრატიული“ მთავრობა თავის ხალხს როდი ატყობინებს...

ხალხმა იცის, მხოლოდ კომისრების რეჟიმის შემდეგ მოვალეობა: „მოისმინა, რა ამა და ამ სოფლელმა კოლექტივის წარმომადგენელის ამხ. ქ-ის სიტყვა, შემდეგი რეზოლიუცია მიიღო, გარდა ამისა, არჩევნების დროს ხმა მისცეს პირველ ნომერს...

არავის არ უნდა ესიამოვნოს სოფლის თანდროული ყოფა, იგი ერთნაირად ჩაფიქრებული უნდა იყოს ყველასთვის და ამიტომ სასწრაფოდ უნდა მოხდეს სოფელში გარდატეხა.

სადაც ხალხს თვითონ არ ესმის სახელმწიფოსადმი თავისი მოვალეობა, იქ ძალამ უნდა მიიღოს ხალხისაგან მისაღები...

შეგნების შეტანა ათ-წლოვან მიზანშეწონილ პოლიტიკის საქმეა, ხოლო ხალხის აუცილებელ მოვალეობის რიგში ყოფნა სახელმწიფოს ცხოვრებისათვის მუდამ ჟამ აუცილებელი. მმართველმა პარტიამ ეს ყურად უნდა იღოს, თორემ მას სოფლის ხალხისგან ნდობის ავანსად კომისრების მოთხოვნით ხმების მიღება ვერას უშველის ჟამსა ერის განკითხვისასა, როცა ხალხის ხმები კი არ იქნება საჭირო, არამედ ხალხის მოქმედება.

„რაც იყო ის არ არის, რაც არის ის ნულარ იქნება“...

ირაკლი ჯიხაიშვილი.

## სანახაობანი

„კინოპალასი“ და „აპოლლო“. ამ დღეებში „კინოპალასსა“ და „აპოლლოში“ წავა სურათი „დაჩუმდი სევდავ“. რომელშიაც უკანასკნელად გამოდიან ხოლოდნაია და პოდორსკი.

—

„ამირანი“ და „პიკადილლი“. (საზაფხულო კინოები) პირველში—„წითელი თოფის წამალი“, მეორეში—„ტერიეზა რაკენი“.

## ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

და სახელოვანად განითქვა სისრულე იგი მათი ყოველთა შორის. პასაკისა ზრდისა თანა მათისა სათნოებაიცა მათი კეთილი იზრდებოდა დღითი-დღე. ახ, ეს ყოველივე ჯერ ისევ გარეგნობა იყო ქალწულისათვის, მხოლოდ ხილული სახე ანგელოზებრივის რამ ცხოვრებისა. სხვას იტყოდა მისი გული, გრძნობათა შესაკრებელი მისი საწყალი. იქა ჰკვნესოდა საბრალო სიყვარული, სულიერის საკვრელებით სასტიკად კრული, თვის ნივთიერ არსებისგან ხვეწილ-დახსნილი, თავის ბუნების უარმყოფელი და მით სასტიკად გვემულ ტანჯული. იგი წამება მით უფრო ძნელი იყო ქალწულისათვის, რომ შეუძლებელი ლა იყო მისი მჟღავნება. მკაცრად შებორკილ მიჯნურობას თანდათან უფრო ეშლებოდა შეძლება განსახებისა, ცოცხლივ იმარხებოდა იგი ბედშავი.

მაინც იბრძოდა უტეხი გრძნობა, განსახებულიყო როგორმე, ეპოვნა გზა რამ სავალი: აღარ ეტეოდა იგი გულში, აუცილებლივ უნდა განხორციელებულიყო მოქმედებაში. და ჰპოვა მან იგი სადენი: ალტყინებულ წარმოდგენაში ჰსახავდა ის ხორცთა კმაყოფილების სურათებს ერთს მეორეზე შეუსაბამოს, ერთმანეთზედ მძლავრს, ბუნებრივ სახეების მამახინჯებელს. ჰპოვებდნენ ის უსახო სახეები თვის შესაფერ მეტყველებასაც, სინამდვილეს მოკლებულ გამოთქმას: თებრონიას სულდგმულად მიაჩნდა წიგნი თუ ნივთი გრიგოლისა; მის უბირ რამ თავსარქმელს ისე იკრავდა გულში, თითქო ძუძუთა შორის თვით თბილი სახე უძევსო მზეჭაბუკისა; ცდილობდა, იდუმალის თუ უცაბედის შეხებით გაეზიარებინა ვაჟკაცისათვის ხორცთა სიცხოველე მწვავ ვნებათაგან სასტიკად აფიცხებული.

ამას ყველაფერს ჰხედავდა შორს მჭვრეტელი მწირი და მაინც გრძნობათა ამგვარ განვითარებას არავითარ დაბრკოლებას არ უჩენდა თავის მხრივ.

— ოცნებობს! თუნდა ნივთიერი სახეებიც მიიღოს მისმა იდუმალმა განზრახვამ. ვიცი, როგორი ძნელია გზა თავის თავის უარყოფისა, გამოცდილებით შემიგნია ეს. სახიფათოა სურვილი ბუნებრივ ლტოლვილებათა დახშობისა. ადამიანს აჩრდილი მაინც უნდა შერჩეს მათის განსახებისა, თუნდაც ხატება გასაკვირველი. გავა დრო, მინელდებიან ჟამიერი მისწრაფებები ხორცისა; მოისპობიან იგინი და ხელით შერჩება მხოლოდ ის რომ უარჰყოფს ყოველივე ნივთიერ საწადელს გაიმართება სვლად სულის ნებაზედ. და იგი წაღმა სვლა მით უფრო ძლიერი იქმნება, რამდენადაც სასტიკი იყო ბრძოლა, რომელს აწარმოებს თავის წინაალმდეგ. გული იწრთობა ამისთანა ბრძოლაში, მკლავნი ფოლადდებიან და შეუბრალებლად აღიმართება რკალის მარჯვენა საწრთველათ სხვათა, თვით ქედ ფიცხელთა მოსაძიებლად. სწორედ ესეთი გაკაჟებული გული არის საჭირო იმ მრავალსაზე და დიდ მსხვერპლისათვის, რომელი მსურს შევსწირო მე თებრონიას ხელით ჩემის ღვთაებისს ნებისყოფას შეუსაზღვრელსა...

— მეთაყვანების ქალწული. ტკბილია იგი მისი შემოვედრება. გვიან ღა არის. ვეღარ მივიღებ ხორციელი კმაყოფილებას, თუნდ ნეტარებასავით დამტკბარ სიამეს. ჩემი სულიერად სრულყოფის გზა უკვე მკვეთრად არის აღნიშნული, ჩემთვის ცხადქმნილი... მოყვასთათვისაც. აღარ ეგების მისი უკუგდება, თუნდ რომ შეცვლა...

— შენ ვერ წარმოიდგენ, თებრონია ჩემო, რა ახლო ვიცნობ სურვილთა ძალას: მეც დაუწვივარ ნდომას ალს ალტყინებულს. ან შევსწირე გულით ჩემი იმ მსახურებას, რომელი დავისახე მე საუკუნოდ.

— რადა?

— იმისთვის რომ ის არის გზა ცხოვრებისადმი დაუსრულებელისა, იგივე მაუფლებს მე ქვეყნიურ ძალთა ზედან ყოველგვართა კარგად შეიგნე: იგივე მაუფლებს მე ყოველთა ქვეყნიერთა ძალთა ზედან! შენც გაუფლებს, ჩემო კარგო, ეს რჩეული გზა ქვეყნიურთა ზედან და აგიყვანს ცა ტახტისადმი ზეშთა მეუფისა... ვინ უწყის სასტიკნი ბრძოლანი ჩვენნი სულიერნი?! ვინ იხილოს ცეცხლებრივნი განცდანი ჩვენნი?!. ნუ შემძიმდების სული შენი, დაო ჩემო საყვარელო, ნუ ეჭვნეულ იქმნები: ნაყოფისაგან მისისა იცნობების ხე კეთილი, ხოლო ნაყოფი ჩვენის მოღვაწეობისა სახიკეთო არის კაცთათვის და სათნო წინაშე ღვთისა.

გარეშენი მართლა და მხოლოდ იმ კეთილ ნაყოფსა ჰხედავდნენ საშვიათოს, რომელი გამოჰქონდა ამ ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ულალავ შრომას სულიერს. ვითარდებოდნენ იგინი გონებით და ზნეობით. სიტყვა მათი შეზავებული იყო მარილითა მადლისათა. გულსა მათსა დანერგილ იყო ძირი სიწმიდისა, ზე აღმოცენებულიყო ნერგი ჭეშმარიტის სარწმუნოებისა.

შეეჭვსნენ ერთურთს ქალ-ყრმანი, წყვილად ვიდოდნენ; ვითარ დებოდნენ დღითი დღე სულით. ვაჟს რომ იდუმალი გულისთქმა უძღოდა წინ ამ ძნელად სავალ გზაზედ, უნათებდა გზას წყვდიადში, როგორც კანდელი მარად მგზნებარე, მას რომ სულიერი ძალაც შესწევდა თვის შორეულ ნატვრის შესასრულებლად; არც ქალი იყო უმიზნოდ მოღვაწე, იმასაც თავისებური გულისთქმა აზელმძლვანელებდა პირადი, საიდუმლო: დაუშრეტელი სურვილი სატრფოს სიახლისა. ეს ავხნევებდა მას მეცნიერებისა თუ სიწმიდის გზაზედ. და თუ ნიჭით ვერ ედრებოდა თავის ჭაბუკ წინამძღვარს, ნებისყოფის სიმკაცრით არ დაუვარდებოდა მას, მისწრაფების უტეხ სიძლიერით. ეს ურყევი მილტოლვა იყო იმის მიზეზი, რომ ისიც მანათობელ ლამპრად გაშუქდა ქართველთა შორის, საიშვიათო რამ ქალწულ მოწამედ, რომლის შარავანდედი ჟამთა დენაში არა ნელდება, უფროც შუქდება.

— გასაკვირველია ამ ქალწულის ძლიერი სწრაფვა სამღთო სწავლისადმი, უწყვეტი მოღვაწეობა ზნეთა განწმენდისათვის. ჰნახავ, თუ რჩეულთა თანა არა შეირაცხოს და მადლი უფლისა არ გაძლიერდეს გულსა შინა მისსა, ეტყოდა ბერი ხვედიოს მოძღვარ ნეოფიტეს.

— განცვიფრებაში მოვყევარ მაგათ შრომას და ცხოვრებას. როდესაც თებრონია დაუახლოვდა ჭაბუკ გრიგოლს, მეგონა, სოფელმა თვისი მოციქული მოუგზავნა მოღვაწეს და უთუოდ შესძლებს მეთქი გაიტაცოს გამოუცდელი ქვეყნიურ სიამეთა კორცებისაკენ. არა მგონია ქალის გულმოდგინება სამღთო წიგნთა თუ მარხვა ლოცვისადმი; მეგონა, მხოლოდ მახე იყო ეს ეშმაკისაგან დაგებული, რომ ვერ ეგრძნო ჭაბუკს ხიფათი, შთათხეულ იყო ყვავილნარით დაფარულ მთხრებლში ხორცითა სილაღისა. დარწმუნებული ვიყავ ამაში. ვლონობდი. არ ზეიმობდა საერო საქმეთათვის გრიგოლ თავდადებული, სარწმუნოების ცეცხლით გზნებული.

— სცდებოდი!

— ვცდებოდი! მადლმან უფლისამან დასდო ქალ-ყრმათა შორის მახვილი უბიწოებისა. განგება სიწმიდის გვირგვინით შეამკობს მათ თავს მშვენიერს

— რჩეულნი არიან ღვთისაგან გასამტკიცებლად წმიდისა ეკლესიისა. ვერ შეეხოს ბოროტებაი ახალ მნათობად მოვლინებულთა. ვერც თუ ეშმაკმან ბილწმან აცთუნოს იგინი, დაასკვნა მოხუცმა ხვედიოს.

და თვალნი გაუშტერა სივრცეს: ამ საკვირველ ჭაბუკთა მომავალსა ჰხედავდა იგი, დიდებულად განსხივებულ მათ უკვდავ შემდეგს.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

„ეკონომია“

(შტაბის ქ. № 6, პუშკინის ბაღის პირდაპირ)

ყოველ დღე მზადდება საუკეთესო ევროპიული და აზიური საჭმელები აზიის კერძებისაგან. ყოველ დღე ხარ[illegible] და ლ[illegible].

ხასმელები ყველა ფირმებისა და მარკისა. სადილის და ვახშმის დროს უკრავს ევროპიული და აზიური ორკესტრი. ფასები ხელმისაწდომია

4—2405 1

პატ ამხანაგობა

ახლად მოწყობილი სტამბა

„ხელოვნება“

ველიამინოვის ქუჩა № 20.

იღებს ყოველ-გვარ სასტამბო და საკაზმავ საქმეებს და გამოცდილ მუშათა ინიციატორობით ასრულებს სწრაფად და ხელოვნურად მეტათ დაკლებულ ფასებში.

საყურადღებოდ სოფლების წვრილ საკრედიტო ამხანაგობებს

სტამბა „ხელოვნებას“ აქვს დამზადებული ყოველნაირი ბლანკები წვრ. საკრ. ამხანაგობებისთვის: წლიური ანგარიშები, თვიური ანგარიშები, ხელწერილები და სხვა.

(25—51—17)

## მატარებლების მიმოსვლა

11 ოქტომბრიდან.

მატარებლები თბილისიდან ფოთში:

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დილის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 სამგზავრო ქუთაისამდე.
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 სამგზავრო ბორჯომამდე.
დილის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 საფოსტო ბაქომდე.
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 სამგზავრო განჯამდე:
დილის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

ყარსიკენ — ერევანში

მ. № 4 საფოსტო —დილის 1 ს. 40 წ.

თბილისში მომავალი მატარებლები.

ფოთიდან — თბილისში.

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 ქუთაისიდან:
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 ბორჯომიდან
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

ბაქოდან

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

ნახიჩევანიდან და ყარსიდან

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

თბილისსა და მცხეთის შუა იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 თბილისიდან
დილის 7 ს. 37 წ.

მ. № 63 დილის 3 ს.

მცხეთიდან მოდის

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა. პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თბილისის დროით.

თბილისიდან-მელაანამდე.

სავაჭრო მატარ. № 16. თბილისიდან გადის დილის 7 საათზე მელაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

სავაჭრო მატარ. № 15 მელაანში უერთდება საფოსტო მატარ. № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თბილისიდან-თელავამდე.

საფოსტო მატარ. № 4. თბილისიდან გადის დილის 10 საათზე თელავში მიდის 7 საათზე და 35 წ.

თელავიდან-თბილისამდე.

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზედ მელაანში უერთდება სავაჭრო მატარებელს № 15 და მოდის თბილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან-წნორის-წყალამდე

მატარებ. № 6. გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე წნორის-წყალში მიდის საღამოს 7 საათზე.

წნორის-წყლიდან გურჯაანამდე.

მატარებელი № 5. წნორის-წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის დილის 11 საათზე.

(2—54—2)

ექიმი

ა. მ. პაპაშვილი

იღებს შინაგან და ბავშთა სნეულებებით ავადმყოფებს, ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. დღ. გუნიბის ქუჩა № 43 (ყაზბეგ[illegible] და გუნიბის ქუჩ. კუთხე, სახლი კახიძისა).

(25—2324—2)

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

ვ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექის და გულისა. იღებს ახალ რენტგენის-ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ის სხივებით. დიდი. სალენიოდი და სეველის [illegible] კთ ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე მებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

[illegible]

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

ე. ა. მოსხე

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით. სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სახსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირას და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13 42.

50—2119—48